**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის**

**სხდომის ოქმი N3**

21 თებერვალი, 2018 წელი

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2

15:00 საათი

**სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:**

თ. ტალიაშვილი, მ. დარჩია, ვ. მნელაძე, გ. გოცირიძე, ე. კუხიანიძე, ა. ლაშხი, ზ. დავითულიანი, ქ. ჯოხაძე.

**მოწვეული სტუმრები:**

1. ირაკლი გვილავა - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი;
2. სერგო ბირკაძე - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი;
3. ვლადიმერ ჭიღლაძე - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი.

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალბატონი თამარ ტალიაშვილი (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე).

**სხდომის დღის წესრიგი:**

1. **საკითხი: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსად ირაკლი გვილავას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.**

   **მომხსენებელი:** ქალბატონი თამარ ტალიაშვილი
   **თანამდებობა:** ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე.

სხდომის თავმჯდომარე, ქალბატონი თამარ ტალიაშვილი, მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა წარმოადგინა დღის წესრიგი, რომელიც განათლებისა და კულტურის კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა.

## მოისმინეს:

დღის წესრიგის პირველი საკითხი წარმოადგინა ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა. მისი განმარტებით, კომისია მიმდინარე სხდომაზე განიხილავს ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსად ირაკლი გვილავას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ'' ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს.

მანვე აღნიშნა, რომ ბატონ ირაკლი გვილავასთან საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისია წლებია თანამშრომლობს, როგორც თბილისის საკრებულოს დეპუტატთან, კოლეგასთან, შემდგომ კი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსთან.

დეპუტატის განმარტებით, მერიის სტრუქტურული ცვლილებების შედეგად, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მიმართულებებს ემატება კულტურის სფეროც, რაც მერიის შესაბამისი სამსახურების გაერთიანებითაა გამოწვეული.

სხდომის თავმჯდომარის თქმით, საკრებულოს შესაბამის კომისიას შესაბამის საქალაქო სამსახურთან ირაკლი გვილავას ხელმძღვანელობით თანამშრომლობის წარმატებული პრაქტიკა აქვს დამკვიდრებული. შედეგად, კომისია ყოველთვის ჩართულია პროექტებსა და ღონისძიებებში, მაქსიმალურად არის ინფორმირებული მათი მიმდინარეობის შესახებ, ამასთან, პროექტების მონიტორინგი გამარტივებულია.კომისიის თავმჯდომარემ გამოთქვა იმედი, რომ აღნიშნული წარმატებული თანამშრომლობა უცვლელად გაგრძელდება.

ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის უფროსმა, ბატონმა ვლადიმერ ჭიღლაძემ აღნიშნა, რომ მერიისათვის პატივია, აღნიშნულ თანამდებობაზე ბატონი ირაკლი გვილავას წარდგენა.

კომისიის წევრმა, ქალბატონმა მარიკა დარჩიამ, აღნიშნა, რომ ბატონი ირაკლი გვილავას პერსონალური რეზიუმედან გამომდინარე, მას აქვს ახალგაზრდულ საქმეთა სფეროში მუშაობის დიდი გამოცდილება და დაინტერესდა, ბატონი ირაკლის გამოცდილებით კულტურის სფეროში.

კომისიის წევრმა, ბატონმა ვლადიმერ ძნელაძემ აღნიშნა, რომ მას წლების განმავლობაში აქვს მჭიდრო თანამშრომლობა ბატონ ირაკლი გვილავასთან. მისი თქმით, მათ ერთად აქვთ განხორციელებული სპორტული და ახალგაზრდული პროექტები და შეიძლება მომავალშიც დაიგეგმოს მსგავსი ღონისძიებები. მისი თქმით, სწორედ ბატონი ირაკლი გვილავას აქტიური მხარდაჭერით დიდუბის რაიონში 200-მდე სოციალურად დაუცველი ბავშვი ჩართულია უფასო სპორტულ პროგრამაში.

ბატონი ვლადიმერ ძნელაძის თქმით, ბატონ ირაკლის განათლების მიმართულებით მრავალი ინიციატივები ჰქონდა, მაგალითად, საზაფხულო ბანაკების პროექტის ჩატარება, შშმ პირებისათვის განკუთვნილი ღონისძიებები და სხვ. რაც შეეხება, კულტურის მიმართულებას, ბატონი ირაკლი გვილავა ამ სფეროშიც იყო ჩართული, მაგალითად, მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის პროექტებში და იგი ხშირად მონაწილეობდა ქ. თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის საქმიანობაში.

კომისიის თავმჯდომარე დაეთანხმა ბატონ ვლადიმერ ძნელაძეს და აღნიშნა, რომ ბატონი ირაკლი გვილავა აქტიურად მონაწილეობდა მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში სხვადასხვა პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებაში. ასევე, ბატონი ირაკლი გვილავა თბილისის მერიის ადმინისტრაციასა და კულტურის საქალაქო სამსახურთან ერთად, ჩართული იყო თბილისობის, ახალი წლის, 26 მაისის, სადღესასწაულო ღონისძიებების ორგანიზებაში.

ბატონი ვლადიმერ ჭიღლაძის განმარტებით, ბატონი ირაკლი გვილავა იქნება ქ. თბილისის მერის მოადგილის, ქალბატონი სოფიო ხუნწარიას საკურატორო სფეროში, რომელსაც დიდი გამოცდილება აქვს კულტურის სფეროში და ისინი ერთობლივად მიაღწევენ დიდ შედეგებს.

კომისიის წევრმა, ქალბატონმა გულია გოცირიძემ ისაუბრა ქ. თბილისის ბიბლიოთეკებთან დაკავშირებით. მისი თქმით, ქ. თბილისის გლდანის რაიონის ბიბლიოთეკარები მასთან შეხვედრაზე იყვნენ, რომლებიც მიუთითებენ, რომ თბილისის მთავრობას გადაწყვეტილი აქვს ბიბლიოთეკების შემცირება. მათ თქმით, ბიბლიოთეკარებს დაევალათ გამოცდებისათვის მომზადება, რაზეც მცირე დრო მისცეს.

ქალბატონმა მარიკა დარჩიამ ამავე საკითხზე განმარტა, რომ თუ ბიბლიოთეკარებმა აქამდე არ იციან როგორ უნდა იმართებოდეს ბიბლიოთეკა, ისინი ვერც ექვსი ან ათთვიანი ვადის მიცემის შემთხვევაში ვერ ჩააბარებენ გამოცდებს. ქალბატონი მარიკას თქმით, ბიბლიოთეკარებს გონივრული დრო აქვთ მიცემული. მისივე განმარტებით, იგი შეხვდა ბიბლიოთეკარებს და ბევრი მათგანი ოპტიმისტურადაა განწყობილი მომავალი გამოცდების მიმართ, ვინაიდან აქვთ შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება.

კომისიის წევრის, ბატონი ბექა დავითულიანის თქმით, საჭიროა კვლევის შედეგად შესაბამისი კრიტერიუმების შემუშავება, რითაც შეფასდებიან ბიბლიოთეკარები. მისი განმარტებით, ხანდაზმულმა ბიბლიოთეკარებმა უფრო უკეთ იციან საკუთარი საქმე.

ამ მოსაზრებას დაეთანხმა ქალბატონი მარიკა დარჩია. მისი თქმით, ბიბლიოთეკართა გამოცდებს ჩაატარებს ნეიტრალური მხარე - საგამოცდო ცენტრი და არა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია, რაც პროცესის ობიექტურობისა და გამჭვირვალობის კიდევ ერთი გარანტი იქნება.

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის თებერვლისა და მარტის თვეებში არ იგეგმება რაიმე გამოცდა. აღნიშნული პროექტი ჯერ დამუშავების რეჟიმშია და მიმდინარეობს საკითხის შესწავლა. ამასთან, მისი თქმით, კვალიფიკაციის ამაღლება პერიოდულად უნდა ხდებოდეს და ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. თუნდაც, ექიმები და მასწავლებლები პერიოდულად აბარებენ გამოცდებს.

ქალბატონი თამარ ტალიაშვილი, ასევე შეეხო ბაღების საკითხს. მისი თქმით, „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველო კანონის საფუძველზე მუნიციპალიტეტმა უნდა მიიღოს კანონქვემდებარე აქტები. თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს და ბატონ სერგო ბირკაძეს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსს, გადაეგზავნათ აღნიშნული აქტების პროექტები განხილვისთვის. რადგან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის ახალი დებულების თანახმად,

განათლების მიმართულებით სამართლებრივ აქტებზე მუშაობა ამ სამსახურის პრეროგატივაა, ამიტომ, აღნიშნული სამსახური თბილისის მერიის იურიდიულ საქალაქო სამსახურთან და საკრებულოს შესაბამის კომისიებთან ერთად, აქტიურად უნდა იყოს ჩართული ზემოხსენებული ნორმატიული აქტების შემუშავების პროცესში.

ბატონმა ბექა დავითულიანი დაინტერესდა ასაშენებელი 2 მულტიფუნქციური კომპლექსის ადგილმდებარეობით, რაზეც ბატონმა ირაკლი გვილავამ განამრტა, რომ ეს კომპლექსები აშენდება ვარკეთილსა და დიდ დიღომში, თუმცა მისი თქმით, უახლოეს მომავალში იგეგმება მესამე ლოკაციის განსაზღვრაც. მისივე განმარტებით, კომპლექსის შენობა, თავისი ტერიტორიით, დაახლოებით 6500 კვადრატულ მეტრ ფართობზე განთავსდება.

ბატონი ბექა დავითულიანი დამატებით დაინტერესდა, იგეგმება თუ არა მსგავსი ტიპის კომპლექსის გლდანში მშენებლობა, რაზეც ბატონი ირაკლის თქმით მოცემული მომენტისთვის გლდანში მშენებლობის საკითხი არ განიხილება. ასევე, აღნიშნა, რომ გლდანში მუშაობს ჭიდაობის დარბაზი, მუხიანში - რაგბის სტადიონი, აგრეთვე იგეგმება რადიო ქალაქის აშენებაც.

კომისიის წევრმა, ქალბატონმა ქეთევან ჯოხაძემ აღნიშნა, რომ გლდანი, საკმარისად დატვირთულია და იქ ფუნქციონირებს სხვადასხვა კომპლექსები.

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ რადიო ქარხნის ტერიტორია მუხიანისა და თემქის მომიჯნავე ტერიტორიაზეა, ამიტომ, რადიო ქალაქის აშენების შემდეგ, მიზანშეწონილია შესასვლელი მუხიანის და თემქის მხრიდან ცალ-ცალკე გაკეთდეს.

ამ მოსაზრებას დაეთანხმა ქალბატონი ქეთევან ჯოხაძე.

**დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს:**
თამარ ტალიაშვილმა, ვლადიმერ ჭიღლაძემ, მარიკა დარჩიამ, ვლადიმერ ძნელაძემ, ბექა დავითულიანმა, ირაკლი გვილავამ, გულია გოცირიძემ, ქეთევან ჯოხაძემ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:

**მომხრე** _____ 8
**წინააღმდეგი** _____ 0
**თავი შეიკავა** _____ 0

**განათლებისა და კულტურის კომისიამ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატის ბიოგრაფიული მონაცემების, მისი სამუშაო გამოცდილებისა და სამსახურის მუშაობის შესახებ სამომავლო ხედვების თაობაზე ინფორმაციის მოსმენის, განხილვისა და მსჯელობის შედეგად, ერთხმად გადაწყვიტა, რომ:**

განათლებისა და კულტურის კომისია დადებითად აფასებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე ბატონი ირაკლი გვიალავას დანიშვნის საკითხს და მხარს უჭერს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსად ირაკლი გვილავას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის გადაცემას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ, ქალბატონმა თამარ ტალიაშილმა კომისიის წევრებსა და მოწვეულ სტუმრებს მადლობა გადაუხადა სხდომაში მონაწილეობისა და აქტიური ჩართულობისთვის და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:

თამარ ტალიაშვილი

---